შპს „კრიპტომატის“ ხელმძღვანელს, ბატონ იოსებ ბოლქვაძეს

სამეწარმეო რეესტრის უახლესი ამონაწერის თანახმად, შპს „კრიპტომატის“ (ს/ნ 431178209) 60%-იან წილს ფლობს შპს „მედიჩი პარტნერსი“ (ს/ნ 431179930). თავის მხრივ, შპს „მედიჩი პარტნერსის“ 87.5%-ს ფლობს შპს „კეპლერ ინვესტმენტსი“ (ს/ნ 405186828), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო ბენეფიციარი გიორგი ბაჩიაშვილია (პ/ნ 01008021797).

ბატონი ბაჩიაშვილი 2023 წლის ზაფხულიდან ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მითვისება/გაფლანგვა დიდი ოდენობით) და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია). 2026 წლის 18 თებერვალს გაფორმებული საპროცესო შეთანხმების თანახმად, გიორგი ბაჩიაშვილი სასამართლომ საბოლოოდ ცნო დამნაშავედ ზემოხსენებული ფინანსური დანაშაულების ჩადენაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „რადიო თავისუფლების“ საგამოძიებო სტატიაზე მუშაობის პროცესში, გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:

1. ბენეფიციარი მესაკუთრის ფინანსურ დანაშაულსა და ფულის გათეთრებაში მსჯავრდების მიუხედავად, როგორ, რა სამართლებრივი საფუძვლით ინარჩუნებს შპს „კრიპტომატი“ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის (VASP) სტატუსს, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტები (FATF) და ადგილობრივი რეგულაციები (სებ-ის №94/04 ბრძანება) მკაცრად კრძალავს მსგავს დანაშაულში მსჯავრდებული პირების მიერ VASP-ების ფლობასა და მართვას?
2. ჰქონდა თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკს თქვენს კომპანიასთან ამ კუთხით კითხვები? ჰქონდა თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკს თქვენს კომპანიასთან ოფიციალური კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე და რა სახის მოკვლევა, მითითება ან სანქცია იქნა მიღებული ბენეფიციარი მესაკუთრის სტატუსის გამო? მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს თუ არა აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის მოკვლევა თქვენი მონაწილეობით და მიიღო თუ არა კომპანიამ რაიმე სახის მითითება, გაფრთხილება ან სანქცია რეგულატორისგან ბენეფიციარი მესაკუთრის სტატუსის გამო?

ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებების მიხედვით, შპს „კრიპტომატის“ კიოსკები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მათ შორის, მიმდინარე წლის მარტის თვეშიც) ფუნქციონირებდა მომხმარებლის იდენტიფიცირების (KYC) სისტემის გარეშე, რაც არღვევს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო რეგულაციებს. რა იყო ამის მიზეზი და დაგაკისრათ თუ არა ეროვნულმა ბანკმა ამ სისტემური დარღვევისთვის ფულადი ჯარიმა ან სხვა ტიპის სანქცია?

3. გთხოვთ, აღნიშნულ კითხვებზე გვიპასუხოთ ელექტრონულად, მისამართებზე: MgeladzeG@rferl.org და Mgeladzegia@gmail.com

პატივისცემით, **გიორგი მგელაძე** „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

შპს დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის ხელმძღვანელს

სამეწარმეო რეესტრის უახლესი ამონაწერის თანახმად, შპს დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის (ს/ნ 431178218) მესაკუთრე (100 %) არის მედიჩი პარტნერს, 431179930 მედიჩი პარტნერსის მესაკუთრე (87.5%) კი საზოგადოება კეპლერ ინვესტმენტს, (405186828) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კეპლერ ინვესმენტის 100% მესაკუთრე კი გახლავთ გიორგი ბაჩიაშვილი.

ბატონი ბაჩიაშვილი 2023 წლის ზაფხულიდან ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მითვისება/გაფლანგვა დიდი ოდენობით) და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია). 2026 წლის 18 თებერვალს გაფორმებული საპროცესო შეთანხმების თანახმად, გიორგი ბაჩიაშვილი სასამართლომ საბოლოოდ ცნო დამნაშავედ ზემოხსენებული ფინანსური დანაშაულების ჩადენაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „რადიო თავისუფლების“ საგამოძიებო სტატიაზე მუშაობის პროცესში, გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:

1. ბენეფიციარი მესაკუთრის ფინანსურ დანაშაულსა და ფულის გათეთრებაში მსჯავრდების მიუხედავად, როგორ, რა სამართლებრივი საფუძვლით ინარჩუნებს შპს „შპს დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯი“ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის (VASP) სტატუსს, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტები (FATF) და ადგილობრივი რეგულაციები (სებ-ის №94/04 ბრძანება) მკაცრად კრძალავს მსგავს დანაშაულში მსჯავრდებული პირების მიერ VASP-ების ფლობასა და მართვას?
2. ჰქონდა თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკს თქვენს კომპანიასთან ამ კუთხით კითხვები? ჰქონდა თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკს თქვენს კომპანიასთან ოფიციალური კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე და რა სახის მოკვლევა, მითითება ან სანქცია იქნა მიღებული ბენეფიციარი მესაკუთრის სტატუსის გამო? მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს თუ არა აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის მოკვლევა თქვენი მონაწილეობით და მიიღო თუ არა კომპანიამ რაიმე სახის მითითება, გაფრთხილება ან სანქცია რეგულატორისგან ბენეფიციარი მესაკუთრის სტატუსის გამო?

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ელექტრონულად, მისამართებზე:
MgeladzeG@rferl.org და Mgeladzegia@gmail.com

პატივისცემით, **გიორგი მგელაძე** „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი